სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

იანვარი №1

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi orjer, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-39

instruqcia / **Instuctions** ----------40-44

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- ----45-50

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ----- 51-55

auqcioni / **Auqcion** ---------- 56

gadasaxadebi #1, 2019

GADASAKHADEBI #1, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის 45-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„45. სესხის გამცემი სუბიექტი – სესხის გამცემი სუბიექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.“.

2. 98^2 მუხლის მე-3 ნაწილის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსი და საქართველოს ეროვნული ბანკისა) სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებულ ოპერაციებზე;“;

ბ) „ზ“–„თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შეძენისა). ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ[1]) პარტნიორი ფიზიკური პირის ან პარტნიორი არარეზიდენტის მიერ მესამე პირისგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხა შეადგენს სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობას. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;

თ) კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სესხის გამცემი სუბიექტის მიერ პარტნიორ არარეზიდენტზე, ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პარტნიორზე ან კაპიტალში არანაკლებ 1 პროცენტით მონაწილეობის უფლების მქონე პარტნიორ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა ან/და პარტნიორის მიერ მესამე პირისგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხა შეადგენს სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრების ოდენობას.“.

3. 109-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] ნაწილი:

„2[1]. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.“.

4. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)				
3	2402 10 000 01	– – სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.9
	2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.2
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.7
	2403 11 000 00*	– – ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	35
	2403 19 000 00*	– – დანარჩენი	1 კგ	35
	2403 99 100 00	– – – საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	35
	2403 99 900 01	– – – – – კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით	20 ცალი	1.7
	2403 99 900 02	– – – – – თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი	20 ღერი	1.7

“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 1^1 და 1^2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული:

ა.ა) ფილტრიანი სიგარეტებისთვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი;

ა.ბ) უფილტრო სიგარეტებისთვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტის ჯამი;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდში მითითებული საქონლისთვის 20 ცალზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდში მითითებული საქონლისთვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი.

შენიშვნა: აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან 1 წლის განმავლობაში.

1^2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ სიგარეტებზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

5. 269-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„11. საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტი უქმდება, თუ ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია და გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50 პროცენტი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. 270-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ კოდექსის 279-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 281-ე მუხლით, 286-ე მუხლის პირველი და მე-11 ნაწილებით, 289-ე მუხლის მე-6, მე-14 და მე-15 ნაწილებით და 291-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევებისთვის (გარდა განმეორებით ჩადენილი ქმედებებისა) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.“.

7. 272-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის გასვლის თარიღიდან.“.

8. 274-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 274. საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა

1. საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს არ აღემატება, – იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით.

2. საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს აღემატება, – იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

3. თუ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.“.

9. 275-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ამ მუხლის პირველი, 2^1 და 2^2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, – იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 ნაწილები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2^1. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტს არ აღემატება, – იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2^2. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 პროცენტს არ აღემატება, – იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 25 პროცენტის ოდენობით.“;

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებად განიხილება და შესაბამის შემთხვევაში იწვევს ამ მუხლის პირველი–2^2 ნაწილებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.“;

დ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. საგადასახადო შემოწმების შედეგად ამ მუხლის შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას.“.

10. 309-ე მუხლის:

ა) 79-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„79. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) უძრავი ქონების მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში განხორციელდა;

ბ) მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტში ან იმ ობიექტში, რომელზედაც 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, მშენებლობის ნებართვა კი შემდგომ გაიცა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) უძრავი ქონების მიმწოდებელი ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელია (იგი შეიძლება არ იყოს ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის/საპროექტო დოკუმენტაციის (არქიტექტურული პროექტის) მფლობელი);

დ) იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2023 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

ე) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, მთლიანად ან ნაწილობრივ საცხოვრებლადაა განკუთვნილი;

ვ) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, ამ მუხლის 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი.

შენიშვნა: ამ ნაწილის მიზნისთვის, თუ 2008 წლის 8 აგვისტოდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ამ მუხლის 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაში შეტანილ ობიექტში განთავსებულ უძრავ ქონებაზე, როგორც მშენებარე ობიექტზე, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შემძენზე, ამ ქონების მიწოდებასთან დაკავშირებით ქონების მიმწოდებლის მიერ გაწეული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება მიიჩნევა უძრავი ქონების მიწოდების ნაწილად, ხოლო მიწოდების დროდ ჩაითვლება სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების დასრულების მომენტი.“;

ზ) 81^2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„81^2. ამ მუხლის 79-ე და მე-80 ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების საფუძველზე 2015 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ამ კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა შეადგენს:

ა) 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 8 წელს;

ბ) 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 7 წელს;

გ) 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 4 წელს;

დ) 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ – 3 წელს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) 87-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფიზიკურ პირზე 2019 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხის, აგრეთვე ამ სესხზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის პატიების (ჩამოწერის) შედეგად ამ ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი, თუ აღნიშნული ფიზიკური პირისთვის შესაბამისი ვალდებულების პატიება (ჩამოწერა) კომერციულმა ბანკმა ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ განახორციელა.“;

დ) 88^1 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„88^1. კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ამ მუხლის 87-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირისთვის ნაპატიები (ჩამოწერილი) თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) შესაბამისი პერიოდისთვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი;

ბ) შესაბამისი პერიოდისთვის ერთობლივ შემოსავალში შეტანილი არ არის სესხზე დარიცხული პროცენტი და ჯარიმა.

შენიშვნა: ამ ნაწილით განსაზღვრული შეზღუდვის გათვალისწინებით კომერციული ბანკის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთობლივ შემოსავალში შეტანას არ ექვემდებარება ამ მუხლის 87-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირისთვის ნაპატიები (ჩამოწერილი) ვალდებულების ღირებულება.“;

ე) 94-ე და 95-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„94. კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის გამცემი სუბიექტი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან.

95. 2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

ქუთაისი, 27 დეკემბერი 2018 წ.

N4225-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი:

200000000.05.001.019072) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 1 **ივლისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

ქუთაისი, 27 დეკემბერი 2018 წ.

N4260-**რს**

საქართველოს კანონი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 040170280.05.001.019092) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 1 **ივლისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

ქუთაისი, 27 დეკემბერი 2018 წ.

N4269-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 200020000.05.001.019091) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 1 **ივლისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

ქუთაისი, 27 დეკემბერი 2018 წ.

N4261-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №682

2018 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. შრომის პირობების ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია დაეხმაროს დამსაქმებელს, უზრუნველყოს შრომის კანონმდებლობითა და შრომის უსაფრთხოების ნორმებით (შემდგომში – შრომის პირობები) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

2. პროგრამის ამოცანებია:

ა) შრომის პირობების დარღვევის პრევენცია;

ბ) გამოვლენილ დარღვევებზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება და კონსულტირება;

გ) იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა.

მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

1. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ დამსაქმებლები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ან/და ინტერესი გამოხატეს ამ პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ ჩართვასთან დაკავშირებით და დასაქმებულები, რომლებიც მუშაობენ ამ დამსაქმებლებთან.

2. ამ პროგრამის მიზნებისთვის, პროგრამაში სრულად ჩართვა გულისხმობს შრომის კანონმდებლობითა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების ინსპექტირებას, ხოლო პროგრამაში ნაწილობრივ ჩართვა გულისხმობს შრომის კანონმდებლობით ან შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების ინსპექტირებას.

3. ინსპექტირების განხორციელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დამსაქმებლის/საქმიანობის სიდიდეზე, მაგრამ ერთ ობიექტზე არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. დასაბუთებულ შემთხვევებში, აღნიშნული ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, იმავე ვადით.

4. ინსპექტირების განხორციელებიდან გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი), დამსაქმებელთან შეთანხმებით, ახორციელებს შრომის პირობების რემონიტორინგს, რომლის ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველი ინსპექტირების ვადას.

5. ამ პროგრამის მიზნებისთვის, რემონიტორინგი გულისხმობს შრომის პირობების პირველადი ინსპექტირების განხორციელების დროს, ინსპექტორების მიერ გაცემული მითითებების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას.

6. შრომის პირობების ინსპექტირება ხორციელდება, ამ პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისა და ზედამხედველობის მიზნით, დეპარტამენტის მიერ.

7. ინსპექტირების განხორციელებაზე, რიგითობასა და ვადებზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტი, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე.

8. დამსაქმებელს 5 კალენდარული დღით ადრე ეცნობება ინსპექტირების დაწყების თარიღი.

9. ამ პროგრამაში ჩართული დამსაქმებელი მაქსიმალურად ხელს უწყობს ინსპექტორებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში (კერძოდ, ობიექტზე დაშვება, თავისუფალი გადაადგილება და დასაქმებულებთან შეხვედრა/გასაუბრება, საჭირო დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დამსაქმებელი ასევე უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია ინსპექტირების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) მოითხოვოს სოციალური პარტნიორის წარმომადგენლის დასწრება ინსპექტირების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს ინსპექტორის მიერ მომზადებულ დასკვნას შრომის პირობების დარღვევის შესახებ;

დ) წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები/მოსაზრებები ინსპექტირების განხორციელების პროცესისა და მომზადებული დასკვნის შესახებ;

ე) მიმართოს ინსპექტორს რეკომენდაციებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომის პირობების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) მიმართოს დეპარტამენტსა და შესაბამის ორგანოებს ინსპექტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში.

10. ინსპექტირების განხორციელებამ, გონივრულ ფარგლებში, არ უნდა დაარღვიოს დამსაქმებლის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს მისი საქმიანობა.

11. დეპარტამენტი იცავს პროფესიული, კომერციული და პერსონალური მონაცემების საიდუმლოებასა და კონფიდენციალურობას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. პროგრამის ღონისძიებები

1. პროგრამის ღონისძიებებია:

ა) შრომის პირობების სისტემური დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების ასახვა შესაბამის დოკუმენტში;

ბ) ანგარიშების/დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომლის შესაძლო გასაჯაროების შესახებ დამსაქმებელს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ინსპექტირების პროცესის დაწყებამდე;

გ) დამსაქმებლის ან/და დასაქმებულთა კონსულტირება;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ე) ანალიზის საფუძველზე, შრომის პირობების დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო წინადადებების მომზადება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) ადგილობრივი, დონორი და საერთაშორისო ექსპერტების/ორგანიზაციების დახმარებით ინსპექტორების ტრენინგი;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისა და დეპარტამენტის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით, თარგმნის მომსახურების, ავტომობილების, მზომი ხელსაწყოების, სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის, კომპიუტერული მოწყობილობების, სხვა შესაბამისი აღჭურვილობის, საინფორმაციო კამპანიებსა და ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა;

თ) საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო/ადგილობრივი საექსპერტო ორგანიზაციების (ექსპერტების) მიერ ადგილობრივ საწარმოებში/დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ექსპერტიზის ჩასატარებლად შესყიდვის განხორციელება;

ი) პროგრამის ადმინისტრირება (მათ შორის, პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთათვის შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის გაწევა).

2. ინსპექტირების ჩატარების წესი მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამინისტრო.

4. ინსპექტირების განხორციელების პროცესში ინსპექტორის მიერ ივსება ანკეტა, რომლის ფორმას შეიმუშავებს დეპარტამენტი და მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ინსპექტორის მიერ შედგენილი დასკვნა უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას ობიექტის შესახებ (სახელწოდება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის შესახებ, საქმიანობის სფერო);

ბ) ინფორმაციას ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ის შესახებ;

გ) ინფორმაციას ინსპექტირების ჩატარების პერიოდის შესახებ;

დ) ინფორმაციას ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ინფორმაციას შრომის პირობების დარღვევის შესახებ არსებული შესაბამისი ნორმატიული აქტების, სტანდარტებისა და რეგლამენტების მითითებით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის შესახებ;

ზ) ინსპექტორ(ებ)ის ხელმოწერასა და თარიღს;

თ) დამსაქმებლის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ხელმოწერას.

6. ინსპექტორის მიერ შედგენილ დასკვნას თან უნდა ერთვოდეს დამსაქმებლის წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები ინსპექტირების განხორციელების პროცესისა და მომზადებული დასკვნის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯების) დაფინანსება ხორციელდება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამისათვის“ (პროგრამული კოდი: 27 05) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.

მუხლი 5. პროგრამის შესრულების ინდიკატორები

პროგრამის შესრულების ინდიკატორებია:

ა) პროგრამაში ჩართულ დამსაქმებელთა და მათ მიერ დასაქმებულთა რაოდენობა;

ბ) გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკური და თემატური ანალიზი;

გ) შენიშვნები, რეკომენდაციები და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ინიციატივები.

მუხლი 6. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №683

2018 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/07/2012, 280070040.10.003.016952) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“:

1. **მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„კ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, ადმინისტრირების ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

2. **მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 3. სოციალური პაკეტის ადმინისტრირება

სოციალური პაკეტის ადმინისტრირების ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის უფლება-მოვალეობებია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) სოციალური პაკეტის დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა და გადაანგარიშება;

ბ) თავის საქმიანობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის, მართვის ავტომატიზებული საშუალებების, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენება და მაძიებელთან/სოციალური პაკეტის მიმღებთან მიმოწერის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით განხორციელება. ამასთანავე, ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება;

გ) სოციალური პაკეტის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება.“.

3. **მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

1. სოციალური პაკეტი ენიშნებათ:

ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:

ა.ა) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 3 შვილი – 544 ლარის ოდენობით;

ა.ბ) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 2 შვილი – 444 ლარის ოდენობით;

ა.გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მარტოხელა მშობელს – 344 ლარის ოდენობით;

ა.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 273 ლარის ოდენობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ე) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით,

უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 244 ლარის ოდენობით;

ა.ვ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 244 ლარის ოდენობით;

ა.ზ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – 222 ლარის ოდენობით;

ა.თ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 222 ლარის ოდენობით;

ა.ი) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 207 ლარის ოდენობით;

ა.კ) სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს – 200 ლარის ოდენობით;

ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:

ბ.ა) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 3 შვილი – 464 ლარის ოდენობით;

ბ.ბ) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 2 შვილი – 364 ლარის ოდენობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მარტოხელა მშობელს – 264 ლარის ოდენობით;

ბ.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 223 ლარის ოდენობით;

ბ.ე) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 178 ლარის ოდენობით;

ბ.ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 164 ლარის ოდენობით;

ბ.ზ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – 142 ლარის ოდენობით;

ბ.თ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 142 ლარის ოდენობით;

ბ.ი) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 127 ლარის ოდენობით;

ბ.კ) სხვა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს – 120 ლარის ოდენობით;

გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:

გ.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 144 ლარის ოდენობით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 134 ლარის ოდენობით;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს:

დ.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს – 244 ლარის ოდენობით;

დ.ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს – 222 ლარის ოდენობით;

დ.გ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილი პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს – 207 ლარის ოდენობით;

დ.დ) სხვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს – 200 ლარის ოდენობით;

ე) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი – 100 ლარი;

ვ) მარჩენალის გარდაცვალების გამო:

ვ.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შვილებს 18 წლის ასაკამდე – 144 ლარის ოდენობით;

ვ.ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შვილებს 18 წლის ასაკამდე – 122 ლარის ოდენობით;

ვ.გ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პირის შვილებს 18 წლის ასაკამდე – 107 ლარის ოდენობით;

ვ.დ) სხვა თითოეულ მარჩენალდაკარგულს – 100 ლარი;

ზ) სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.ა) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 3 შვილი – 344 ლარის ოდენობით;

ზ.ბ) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 2 შვილი – 244 ლარის ოდენობით;

ზ.გ) მარტოხელა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შრომისუუნარო მშობელს – 144 ლარის ოდენობით;

ზ.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 44 ლარის ოდენობით;

ზ.ე) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 44 ლარის ოდენობით;

ზ.ვ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – 22 ლარის ოდენობით;

ზ.ზ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 22 ლარის ოდენობით;

ზ.თ) თავდაცვის ძალების ვეტერანებს საპენსიო ასაკის მიღწევისას – 22 ლარის ოდენობით;

ზ.ი) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 7 ლარის ოდენობით;

თ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ.ა) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები – 122 ლარის ოდენობით;

თ.ბ) სხვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს – 107 ლარის ოდენობით.“.

4. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ყველა კატეგორიის სოციალური პაკეტის დანიშვნისათვის – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, ბავშვის შემთხვევაში – დაბადების მოწმობა), ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში, მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ წარმომადგენლობის დოკუმენტში მოცემულია მაძიებლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები);“.

5. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ განცხადებას თან ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი და მაძიებელი აკმაყოფილებს სოციალური პაკეტის დანიშვნის პირობებს, სააგენტოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე, სხვა შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება სოციალური პაკეტის არდანიშვნის თაობაზე. განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებში არსებული მონაცემები დარდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან.“;

6. მე-10 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ზოგიერთი კატეგორიის პირის სოციალური პაკეტით უზრუნველყოფის განსაკუთრებული წესი“.

7. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სოციალური პაკეტის შეჩერება და განახლება

1. სოციალური პაკეტი შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

ა) ბენეფიციარის მიერ სოციალური პაკეტის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში. ასევე იმ გარემოების არსებობა, როდესაც საბანკო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება. აგრეთვე ისეთი გარემოების არსებობა, როდესაც პირი ახორციელებს სარგებლის დეპოზიტზე გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად არ მიუმართავს საბანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედების ვადის გასვლისას;

დ) სხვა საფუძვლით, თუ ის გამომდინარეობს კანონმდებლობიდან.

2. სოციალური პაკეტი განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ბენეფიციარის მიერ სააგენტოსათვის სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სოციალური პაკეტი განახლდება განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, ხოლო პირისათვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან განცხადებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) წარდგენის შემდეგ;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბენეფიციარის მიერ სააგენტოსათვის გასაცემლის განახლების თაობაზე განცხადებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ:

გ.ა) თუ სტატუსი მინიჭებულია წინა სტატუსის მოქმედების ფარგლებში;

გ.ბ) თუ სტატუსი მინიჭებულია წინა სტატუსის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ არა უმეტეს 3 თვის ვადაში და არსებობს წინა სტატუსის მოქმედების ვადაში გადამოწმებაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის გამო). სხვა საპატიო მიზეზებად ჩაითვლება: შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მუშაობის გრაფიკის დარღვევა ან ფორსმაჟორული მდგომარეობა (სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა);

დ) თუ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს სოციალური პაკეტი შეჩერებული აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით და სოციალური პაკეტის განახლებისას წარდგენილია დოკუმენტი „გ.ა“ ან „გ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვადაში მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის სხვა სტატუსის შესახებ, სოციალური პაკეტი განახლდება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის ანაზღაურდება: შეზღუდული შესაძლებლობის ახალი სტატუსის მინიჭებამდე არსებული სტატუსის მოქმედების ვადაში – სტატუსის შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული თანხის ოდენობით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ახალი სტატუსის მინიჭების მომდევნო თვიდან – შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული თანხის ოდენობით;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სოციალური პაკეტის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.

3. სოციალური პაკეტის შეჩერების წყაროა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, გასაცემლის გამცემი საბანკო დაწესებულება, ხოლო პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტოს აწვდისშეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

8. მე-12 **მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით სოციალური პაკეტის შეწყვეტის წყაროა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მიეწოდებასსააგენტოს, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ასევე ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება სააგენტოს, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში კი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტოს აწვდის შეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №694

2018 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

„იმ დასახლებათა განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №351 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ დასახლებათა განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №351 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/07/2018, 370040000.10.003.019416) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ დასახლებებში, საპილოტო პროექტის ფარგლებში, სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყების დროს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. საპილოტო პროექტის ფარგლებში, უფლებათა რეგისტრაცია წარმოებს 2019 წლის 1 ივლისამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №695

2018 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 თებერვლის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 თებერვლის № 74 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2017, 040030000.10.003.019783) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

3. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი მოქმედებს 2019 წლის 1 ივლისამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №4

2019 წლის 18 იანვარი, ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014, 280120000.10.003.018378) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების და/ან საჭირო ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (შემდგომში – სააგენტო), მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად;“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“**:

ა) მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) C0 – გასული პერიოდის განმავლობაში ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მიღებული (ან მისაღები) ფულადი სოციალური დახმარება – „საარსებო შემწეობა“ („საარსებო შემწეობის“ ოდენობაში გაითვალისწინება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარება) ან სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი, რომლის გაცემა „საარსებო შემწეობის“ მიღების შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ან სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. შემოსავლების ინდექსის გამოთვლა

შემოსავლების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

სადაც:

ა) K4,1 – არის კოეფიციენტი;

ბ) Y4,1 – არის Y4,11, Y4,12, Y4,13-ისა და Y4,14-ის ჯამი:

ბ.ა) Y4,11 – ოჯახის დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში ოჯახის ყველა წევრის ჯამური პირადი ფულადი შემოსავლების (ხელფასისა და ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით) (გარდა სახელმწიფო პენსიისა, სოციალური პაკეტისა, საარსებო შემწეობისა) და გასულ 12 თვეში ოჯახის სხვა ჯამური ფულადი შემოსავლების 1/12 ნაწილის ჯამი;

ბ.ბ) Y4,12 – ოჯახის თითოეული წევრის მიერ წინა მეორე თვეში მიღებულ სახელმწიფო პენსიასა და 180-ს შორის მინიმალური მნიშვნელობების ჯამი;

ბ.გ) Y4,13 – ოჯახის თითოეული წევრის მიერ წინა მეორე თვეში მიღებულ სოციალურ პაკეტსა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული წესის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ სოციალურ პაკეტს შორის მინიმალური მნიშვნელობების ჯამი;

ბ.დ) Y4,14 – ოჯახის თითოეული წევრის მიერ წინა მეორე თვეში მიღებულ (ან მისაღებ) საარსებო შემწეობასა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობას შორის მინიმალური მნიშვნელობების ჯამი.“;

გ) მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) Y6,4– Y6,4=l, თუ ოჯახის წარმომადგენელი არის კაცი, Y6,4=0 – წინააღმდეგ შემთხვევაში;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №2

2019 წლის 9 იანვარი, ქ. თბილისი

„სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 31/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016704) დამტკიცებულ:

1. „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ცნობით დასადასტურებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ ამ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული შევსებული ფორმა ერთ ეგზემპლარად. ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების ცნობით დაუდასტურებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობითი ფორმით ატყობინებს შესაბამის სამინისტროს ან უწყებას.“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5^1. ამ ბრძანების №2 დანართში აისახება დონორთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მიმდინარე წლის წლიური მოცულობა.“.

2. „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების შესახებ ხარჯთაღრიცხვის ფორმა“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან .

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

„დანართი №2

ხარჯთაღრიცხვის ფორმა
სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მიმღები სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი	ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების განმკარგავი სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი
_____ ბ.ა _____20 წელი	_____ ბ.ა _____20 წელი

_____

ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მიმღების და განმკარგავის დასახელება

_____

ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების გამცემი (დონორი) ორგანიზაცია

_____

ხელშეკრულების რეკვიზიტები: დასახელება, ნომერი, თარიღი

_____

ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების რეკვიზიტები

ვალუტის დასახელება

I	დასახელება	უცხოურ ვალუტაში*	ეროვნულ ვალუტაში
1	ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მთლიანი მოცულობა		
2	მ.შ. მიღებული თანხა		
3	მ.შ. სულ დამტკიცებული მოცულობა		

II	დასახელება	ეროვნულ ვალუტაში
1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	
2	მიმდინარე წლის ჩამოსარიცხი მოცულობა[1]	
3	სულ ჯამი (1+2)	

[1] მიეთითება ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების წლიური ჩამოსარიცხი მოცულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მთლიან მოცულობას, წინა პერიოდში განხორციელებული გადახდების/პირდაპირი ჩარიცხვების გათვალისწინებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

III	დასახელება	ცვლილება ლარებში ** (+/-)				
		წლიური თანხა	I კვ.	II კვ.	III კვ.	I
1	ხარჯები					
1.1	შრომის ანაზღაურება					
1.2	საქონელი და მომსახურება					
1.3	პროცენტი					
1.4	სუბსიდიები					
1.5	გრანტები					
1.5.1***	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს					
1.5.1.1***	მიმდინარე					
1.5.1.2***	კაპიტალური					
1.6	სოციალური უზრუნველყოფა					
1.7	სხვა ხარჯები					
1.7.1***	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული					
1.7.2***	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული					
2	არაფინანსური აქტივების ზრდა					
3	ფინანსური აქტივების ზრდა					
3.1 ***	საშინაო დებიტორები					
3.1.1 ***	სესხები					
3.2 ***	საგარეო დებიტორები					
3.2.1 ***	სესხები					
4	ვალდებულებების კლება					
4.1 ***	საშინაო კრედიტორები					
4.1.1 ***	სესხები					
4.2 ***	საგარეო კრედიტორები					
4.2.1 ***	სესხები					
5	**სულ ჯამი (1+2+3+4)**					

* აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ვალუტის ერთეულში;

** ფორმის III ნაწილში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების ის მოცულობა, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი ჩამორიცხვის შედეგად მტკიცდება/ემატება მთლიან დამტკიცებულ მოცულობას, საჭიროებს მუხლობრივ ცვლილებას, უკან უბრუნდება დონორს ან/და წარმოადგენს წინა პერიოდის ნაშთს და არ მიეთითება მიმდინარე წლის მთლიანი დამტკიცებული მოცულობა ნაზარდი ჯამით;

*** წარმოდგენილ გრაფებში მითითებული მუხლები წარმოადგენს მაგალითს და ფორმის შევსებისას სამინისტროს/უწყების მიერ უნდა დაემატოს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვა ხარჯების, გრანტების და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლ(ებ)ი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №3

2019 წლის 14 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის**:

ა) მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში – „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“) VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები)) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას:

ზ.ა) ცემენტსა და ელექტროკაბელებზე – საქონლის მწარმოებლის მიერ გაცემული თვისებების დეკლარაცია, რომელშიც მითითებულია სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული დასახელება იმ სტანდარტ(ებ)ისა, რომლის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს საქონელი. ამასთან, თვისებების დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რაც დასტურდება საქონლის თანმხლები დოკუმენტით;

ზ.ბ) არმატურაზე – შემოწმების სერთიფიკატი №3.1 („ლითონის პროდუქტები. შემოწმების დოკუმენტების ტიპების შესახებ“ სსტ ენ 10204:2004 სტანდარტის შესაბამისად) და შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს რომ მწარმოებელმა მიიღო არმატურის ეროვნული სტანდარტის შესაბამისად წარმოების უფლება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.გ) პლასტმასის მილებზე – ტექნიკური პასპორტი ან ინსტრუქციები, ხოლო მათი არარსებობის შემთვევაში – სხვა სახის დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

ზ.გ.ა) მწარმოებლის სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საკონტაქტო ინფორმაცია;

ზ.გ.ბ) საქონლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ზ.გ.გ) ტექნიკური პირობები, რომელსაც საქონელი აკმაყოფილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ.გ.დ) საქონლის ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები;

ზ.გ.ე) საქონლის დანიშნულების მიხედვით გამოყენება.";

ბ) 5^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 52 პუნქტი:

„5^2. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში:

ა) თუ არ იქნა წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, აღნიშნულის თაობაზე ეცნობება (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის – geoms@moesd.gov.ge საშუალებით) სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. ამასთან:

ა.ა) საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარანტს განუსაზღვრავს ნაკლოვანებების აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) ან საქონლის უკან დაბრუნების ან მის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის 6 სამუშაო დღის ვადას, რომელიც აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან. მითითებული ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით განსაზღვრული განკარგვის ღონისძიება დეკლარანტის ხარჯით;

ა.ბ) თუ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წერილობით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის – geoms@moesd.gov.ge საშუალებით) ადასტურებს (მათ შორის, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების გათვალისწინებით), რომ დაცულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნები ან/და ამ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო არ არის, საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება დადგენილი წესით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) რისკების მართვის სისტემის გამოყენებით საქონლის მონაცემების რისკის პროფილთან თანხვედრისას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება საქონლის შეჩერების თაობაზე, რის შესახებაც ეცნობება სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის – geoms@moesd.gov.ge საშუალებით). სააგენტო უფლებამოსილია, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებები. ამ საქონლის მიმართ შემდგომი საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხი გადაწყდება სააგენტოს წერილობითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მათ შორის:

ბ.ა) თუ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წერილობითი გადაწყვეტილების მიხედვით აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, დეკლარანტი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის უკან დაბრუნება ან საქონლის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დეკლარანტის ხარჯით ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით განსაზღვრული განკარგვის ღონისძიება;

ბ.ბ) თუ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წერილობითი გადაწყვეტილების მიხედვით აღნიშნული საქონელი შეესაბამება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს ან/და არ შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და გაფორმების პროცედურები ხორციელდება დადგენილი წესით.“.

2. **მე-20 მუხლის მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 და მე-15 პუნქტები**:

„14. „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ №VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პალსტმასის მილები)) იმპორტის შემთხვევაში სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელებისას, ამ მუხლით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება საქონლის შემოწმებისათვის განსაზღვრული ვადით და განახლდება სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების დასრულებისთანავე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

15. თუ იმპორტის სასაქონლო ოპერციაში წინასწარ დეკლარირებული, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ №VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პალსტმასის მილები)) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ იქნა წარმოდგენილი ამავე რეგლამენტის“ 1^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ი, საქონლის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 6 სამუშაო დღისა.“.

3. 23-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ხ“ ქვეპუნქტი:

„ხ) „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ №VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პალსტმასის მილები)) იმპორტის შემთხვევაში:

ხ.ა) ცემენტსა და ელექტროკაბელებზე – საქონლის მწარმოებლის მიერ გაცემული თვისებების დეკლარაცია, რომელშიც მითითებულია სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული დასახელება იმ სტანდარტ(ებ)ისა, რომლის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს საქონელი. ამასთან, თვისებების დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რაც დასტურდება საქონლის თანმხლები დოკუმენტით;

ხ.ბ) არმატურაზე – შემოწმების სერთიფიკატი №3.1 („ლითონის პროდუქტები. შემოწმების დოკუმენტების ტიპების შესახებ“ სსტ ენ 10204:2004 სტანდარტის შესაბამისად) და შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს რომ მწარმოებელმა მიიღო არმატურის ეროვნული სტანდარტის შესაბამისად წარმოების უფლება;

ხ.გ) პლასტმასის მილებზე – ტექნიკური პასპორტი ან ინსტრუქციები, ხოლო მათი არარსებობის შემთვევაში – სხვა სახის დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

ხ.გ.ა) მწარმოებლის სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საკონტაქტო ინფორმაცია;

ხ.გ.ბ) საქონლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ხ.გ.გ) ტექნიკური პირობები, რომელსაც საქონელი აკმაყოფილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხ.გ.დ) საქონლის ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები;

ხ.გ.ე) საქონლის დანიშნულების მიხედვით გამოყენება.“.

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისა და ამ დოკუმენტების სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით.

4. „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ №VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პალსტმასის მილები)) იმპორტის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წერილობით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის – geoms@moesd.gov.ge საშუალებით) ადასტურებს (მათ შორის, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების გათვალისწინებით), რომ დაცულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები ან/და ამ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო არ არის“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 15 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №4

2019 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი (გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებისა), რომელსაც, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართვის ადგილი გადმოაქვს საქართველოში;“.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მმართველობითი ფუნქციის განხორციელების დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს. ამასთანავე, ამ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ განცხადების წარმომდგენს უკვე მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, როგორც ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს, მას უნარჩუნდება თავდაპირველი რეგისტრაციისას მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. **მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი**:

„5[1]. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი საგადასახადო აღრიცხვის მიზნით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02[1] დანართის შესაბამისად;

ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას (ან მათ ნოტარიულად დამოწმებულ ასლს) და, არსებობის შემთხვევაში, სხვა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება საწარმოს მართვის ადგილის საქართველოში გადმოტანა;

გ) ნოტარიულად დამოწმებულ მონდობილობას, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

შენიშვნა: ამ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, განცხადების წარმომდგენი ვალდებულია №I-02[1] დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით აცნობოს საგადასახადო ორგანოს ამ ცვლილებების შესახებ.

4. **დანართი №1-02-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №I-02[1]**.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1-02[1]

განცხადება
გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის/
ცვლილების შესახებ

ნაწილი I. ინფორმაცია მარეგისტრირებელი ორგანოს და გადასახადის გადამხდელის შესახებ

1. შემოსავლების სამსახურის _____
(სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული)

2. სრული სახელწოდება:
3. საიდენტიფიკაციო ნომერი:
4. სამართლებრივი ფორმა:
5. რეგისტრაციის ადგილი (სახელმწიფო):
6. რეგისტრაციის თარიღი:
7. იურიდიული მისამართი (ქალაქი, მუნიციპალიტეტი, სოფელი, ქუჩა, ნომერი):
8. საქმიანობის სახე:

ნაწილი II. ინფორმაცია (მონაცემები) ხელმძღვანელის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის/პირების და მმართველობის ორგანოს შესახებ

9. ხელმძღვანელები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი/პირები

ხელმძღვანელი	წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი	გვარი	სახელი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	ფაქტობრივი მისამართი:	პირადი ნომერი	უფლებამოსილების ვადა

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი სტატუსი მონიშნეთ „x"

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10*. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები წარმოადგენენ საწარმოს (მონიშნეთ „x"):

☐ ერთად ☐ ცალ-ცალკე

11. მმართველობის ორგანო**:

12. მმართველობის ორგანოს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი** (მისამართი):

13. პრეკურსორისტი**:

გვარი	სახელი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	პირადი ნომერი

ნაწილი III. ინფორმაცია დამფუძნებლების შესახებ

14. დამფუძნებელი ფიზიკური პირები**:

გვარი	სახელი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	პირადი ნომერი	წილობრივი მონაწილეობა (%)***

15. დამფუძნებელი იურიდიული პირის/საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები**:

სრული სახელწოდება	სამართლებრივი ფორმა	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ადგილი (სახელმწიფო)	რეგისტრაციის თარიღი	მარეგისტრირებელი ორგანო	იურიდიული მისამართი	წილობრივი მონაწილეობა (%)***

16. მონაცემები დამფუძნებლის წარმომადგენლის (წარმომადგენლების) შესახებ**:

გვარი, სახელი/ სრული სახელწოდება	მოქალაქეობა/ რეგისტრაციის ადგილი	საცხოვრებელი ადგილი/ იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი	პირადი/ საიდენტიფიკაციო ნომერი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

17. მონაცემები ნილის მმართველის შესახებ**:

გვარი, სახელი/ სრული სახელწოდება	მოქალაქეობა/ რეგისტრაციის ადგილი	საცხოვრებელი ადგილი/ იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი	პირადი/ საიდენტიფიკაციო ნომერი

ნაწილი IV. ინფორმაცია საკონტაქტო მონაცემების შესახებ

18. ტელეფონი:
19. ელექტრონული ფოსტა:
20. ფაქტობრივი მისამართი:
21. შენიშვნა****:

22. დამფუძნებლის ან/და განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

ვადასტურებ, რომ შევსებული განცხადება შეესაბამება სინამდვილეს, არის სწორი და სრული

23. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა_____ თარიღი _____(რიცხვი,თვე,წელი)

* - *იესება, თუ პირს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს*
** - *არსებობის შემთხვევაში*
*** - *იესება, თუ პარტნიორთა ნილები შესაძლებელია გამოსატული იყოს პროცენტებში, რა დროსაც მათი ჯამი შადგენს 1 მთელს*
**** - *იესება ცვლილების შესახებ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, რა დროსაც მიუთითებს, თუ რა სარეგისტრაციო მონაცემები შეიცვალა*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება № 270

2019 წლის 11 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი № 12):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ^{1}“ და „ჩ^{2}“ ქვეპუნქტები:

„ჩ^{1}) საბაჟო კონტროლის მიზნით აღებული სინჯისა და ნიმუშისლაბორატორიულ კვლევას;

ჩ^{2}) ავტოტექნიკური ექსპერტიზის განხორციელებას;“;

ბ) მე-7 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ^{1}“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჟ[1]) საბაჟო ლაბორატორია;“;

ზ.ბ) მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) საბაჟო ლაბორატორია:

კ.ა) ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის სამმართველო;

კ.ბ) ტექნიკური და ტექნოლოგიური ექსპერტიზის სამმართველო;

კ.გ) საორგანიზაციო სამმართველო.“;

გ) მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონლის რაოდენობის დადგენა ან/და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრა ან/და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა;“;

დ) მე-13 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[1] მუხლი:

„მუხლი 13[1]. საბაჟო ლაბორატორია

1. საბაჟო ლაბორატორიის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სეს ესნ-ის კოდის ან/და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ან/და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების ან/და დაბეგვრის მიზნით, საქონლის ქიმიური შემადგენლობის კვლევა ან/და ფიზიკური თვისებების დადგენა;

ბ) საქონლის შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის მიზნით, სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელება;

გ) სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის ან/და სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის ან/და არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების მიზნით, საქონლის კვლევა/გამოცდა;

დ) საქართველოს ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ ნორმებთან ან საერთაშორისო სტანდარტებთან საქონლის შესაბამისობის დადგენა;

ე) განსაკუთრებით საშიში დაავადების გამოვლენისას შესაბამისი უწყების ინფორმირება;

ვ) გენმოდიფიცირებული პროდუქციის იდენტიფიცირება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელში სახიფათო ნივთიერებების კვლევა;

თ) საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება;

ი) გადასახადის გადამხდელისაგან და სხვა დაინტერესებული პირისაგან ჩასატარებელი კვლევებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოთხოვნა;

კ) საჭიროების შემთხვევაში, საქონლის პირველადი კვლევის შედეგების გადამოწმება;

ლ) კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

მ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებების შესრულება.

2. საბაჟო ლაბორატორიის ტექნიკური და ტექნოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) ელექტრომოწყობილობების, დანადგარებისა და ანალოგიური პროდუქციის საქართველოს ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ ნორმებთან ან საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) სეს ესნ-ის კოდის ან/და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ან/და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების ან/და დაბეგვრის მიზნით, საქონლის ტექნიკური ან/და ტექნოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება;

გ) ავტოტექნიკური ექსპერტიზის განხორციელება;

დ) კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ე) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებების შესრულება.

3. საბაჟო ლაბორატორიის საორგანიზაციო სამმართველოს ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, საბაჟო ლაბორატორიის ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი, ასევე შეხვედრების, თათბირებისა და სხდომების ორგანიზება;

ბ) საბაჟო ლაბორატორიის ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

გ) საბაჟო ლაბორატორიისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი, დაგეგმვა და უზრუნველყოფა;

დ) საბაჟო ლაბორატორიაში შემოსული ნიმუშების შეფასება, რეგისტრაცია და შემდგომი კვლევისთვის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის გადაცემა;

ე) ლაბორატორიული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და სათანადო ანგარიშების მომზადება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) საბაჟო ლაბორატორიის მიერ მომსახურების გაწევისათვის შესაბამისი საფასურის დარიცხვა;

ზ) კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

თ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებების შესრულება.";

ე) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ს" და „ტ" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-14[1] მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]" და „ვ[2]" ქვეპუნქტები:

„ვ[1]) საბაჟო კონტროლის ზონებში და სხვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში განთავსებული რენტგენო-სკანერების ექსპლუატაცია, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირების განხორციელება;

ვ[2]) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა-აღკვეთა, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილეობა;".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №386

2019 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ „492“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფები:

mkacrad unda icavde saSualos or ugunurebas Soris: im rwmenasa da im rwmenas Soris, rom yvelaferi SegiZlia da araferi ZalgiZs.

emil-ogiust Sartie (aleni)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

493	სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაცია
494	დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობას
495	შემოწმების სერტიფიკატი №3.1 („ლითონის პროდუქტები. შემოწმების დოკუმენტების ტიპების შესახებ“ სსტ ენ 10204:2004 სტანდარტის შესაბამისად)
497	შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მწარმოებელმა მიიღო არმატურის ეროვნული სტანდარტის შესაბამისად წარმოების უფლება
500	„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის V დანართით პლასტმასის მილებზე წარსადგენი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი – ტექნიკური პასპორტი ან ინსტრუქციები, ხოლო მათი არარსებობის შემთვევაში – სხვა სახის დოკუმენტაცია, სადაც მითითებულია შესაბამისი ინფორმაცია
501	სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ დაცულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები ან/და სამშენებლო პროდუქტი შეესაბამება „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების დანართით გათვალისწინებული ქვეყნების მოთხოვნებს.

“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

სესხზე დარიცხული პროცენტის გამოქვითვა 0264



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების და ხარჯების განსაზღვრა გრძელვადიან კოტრაქტზე 0261

ფაქტობრივი გარემოებები

- საწარმომ 2011 წლის მარტში გააფორმა კონტრაქტი 150 000 ლარის სამშენებლო სამუშაოზე. სამუშაოები დასრულდა 2012 წლის მაისში
- საწარმომ კუთვნილი შემოსავალი (150 000 ლარი) ასახა 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად დაბეგრა მოგების გადასახადით
- საწარმომ კონტრაქტის ფარგლებში დაუმთავრებელ წარმოების სახით გაწეული ხარჯი წლის ბოლოს ასახა მარაგებში, რითაც დააკორექტირა (გაზარდა) ერთობლივი შემოსავალი. შესაბამისად, 2011 წელს აღნიშნული ხარჯების მიხედვით გამოქვითვები არ განუხორციელებია

შეფასება

- სსკ-ის 144-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს გრძელვადიან კონტრაქტს. საწარმო ვალდებული იყო 2011 წლის ერთობლივი შემოსავალი განესაზღვრა ამავე კონტრაქტის ფარგლებში დაუმთავრებელ წარმოებაზე მიკუთვნებული ხარჯების ამავე კონტრაქტით დაგეგმილ საერთო ხარჯებთან შეპირისპირებით
- ამასთან, საწარმოს უფლება აქვს 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს კოტრაქტის ფარგლებში 2011 წელს დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივად გაწეული ყველა ის ხარჯი, რამაც განსაზღვრა ერთობლივი შემოსავალი

ღონისძიებები

- დაკორექტირდება საწარმოს 2011 და 2012 წლის დასაბეგრი მოგება
- საწარმო, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შენობა-ნაგებობის დემონტაჟი 0263

ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოს ერთ შენობაში სხვადასხვა დროს 2 წასყიდობის ხელშეკრულებით ჯამურად შეძენილი აქვს 1400 კვ.მ ფართი. აღნიშნული ფართების მიხედვით შექმნილია 2 დამოუკიდებელი ჯგუფი (100 კვ.მ-ზე და 1300 კვ.მ-ზე), ამასთან საჯარო რეესტრში შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს ერთი საკადასტრო კოდი

2008 წელს საწარმომ მოახდინა აღნიშნული შენობა-ნაგებობიდან (1400 კვ.მ)მხოლოდ 1300 კვ.მ -ის დემონტაჟი და შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა იმავე წელს სრულად გამოქვითა ერთობლივი შემოსავლიდან. დარჩენილი 100 კვ.მ აღრიცხულია ცალკე ჯგუფად და აღნიშნულის მიხედვით გრძელდება ამორტიზაციის დარიცხვა

შეფასება

სსკ-ის 111-ე მუხლის მე-9 (ძვ. 183-ე მუხლის მე-9) ნაწილის მიხედვით, თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებულია ან ლიკვიდირებულია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსათვის ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას

მოცემულ სიტუაციაში მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს ერთი საკადასტრო კოდი, სახეზეა ცალკე ჯგუფში აღრიცხული უძრავი ქონების სრულად ლიკვიდაცია. შესაბამისად, საწარმოს ქმედება მართლზომიერია

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი ვალდებულებების დაკისრება არ ხდება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია 1418



- იგულისხმება, რომ 2009 წლამდე საწარმო სესხზე დარიცხული პროცენტების კაპიტალიზაციას არ ახდენდა. შესაბამისად, სესხით სარგებლობისათვის დანახარჯები ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზაში მონაწილეობას არ იღებდა.

- იგულისხმება, რომ დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა განკუთვნილია საწარმოს ძირითად საშუალებად.

სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2013 წლის 14 იანვრისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კოეფიციენტით გაზრდას დაქვემდებარებული დასაბეგრი ქონება 1419



- საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების წლიური საშუალო საბალანსო ნარჩენი ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით (სსკ 202-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

სახელმძღვანელო შემუშავებულია 2014 წლის 1 სექტემბრისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

29.01.2019

2019 წლის 29 იანვარს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 37 875 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.510 პროცენტით, მაქსიმალური 7.550 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.540 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com